

# უხანონო ნაგავსაყრელი



ქუთაისის ნაგავსაყრელს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა დღემდე არ გააჩნია

## თეონა ხარაბაძე

ქუთაისში, ნიკეას დასახლებაში მდებარე ნაგავსაყრელი უკანონოდ ფუნქციონირებს. ადგილზე არსებულ მდგომარეობას კი ექსპერტები საგანგაშოდ აფასებენ.

**„ადგილი აქვს ნარჩენების ღიად წვის პროცესებს. არ ხდება ნარჩენების მიწის ფენით დაფარვა. ნაგავსაყრელი გადატვირთულია და წარმოადგენს ანტი-სანიტარიის და დაბინძურების სერიოზულ კერას,“** - ასეთი შინაარსის წერილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ გაუგზავნა. თუმცა სამინისტროს მხრიდან მას რეაგირება არ მოჰყოლია. შესაბამისად, **„პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება - ნაგავსაყრელი განაგრძობს ფუნქციონირებას, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოზე და საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს,“** - ნათქვამია სამინისტროსთვის გაგზავნილ წერილში.

ქუთაისის ნაგავსაყრელი 1962 წლიდან ფუნქციონირებს. ის ქუთაისის გარდა, ბაღდათისა და წყალტუბოს რაიონებსაც ემსახურება. 2007 წელს გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განხორციელებული საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიშის თანახმად, ნაგავსაყრელს ექსპლუატაციის ვადა გაუვლიდა. შესაბამისად, ნაგავსაყრელს დღემდე არ გააჩნია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, როგორც ამას „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვს.

ქუთაისის ნაგავსაყრელი, რომელიც 15 ჰექტარზეა განთავსებული, ფაქტობრივად შემოუღობავია. რის გამოც, დასახლებული პუნქტიდან რამდენიმე მეტრში განთავსებული ნაგავსაყრელი საფრთხეს უქმნის ქალაქის ეკოლოგიას და მოსახლეობის ჯანმრთელობას. **„ბირუტყვი თავისუფლად გადაადგილდება და მოსახლეობა ნარჩენებით სარგებლობს, გააქვთ ბოთლები და სხვადასხვა ნარჩენები. ბირველ რიგში, უნდა მოგვარდეს შემოღობვის საკითხი. მდინარე რიონსა და ნაგავსაყრელს შორის უნდა გაკეთდეს დამცავი ჯებირი, რათა ნარჩენები არ ჩაედინებოდეს მდინარეში,“** - აღნიშნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დასავლეთ საქართველოს რეგიონალური სამმართველოს უფროსმა თამაზ კეპულაძემ.

**„ლიცენზიას სამინისტრო არ გასცემს, რადგან ნაგავსაყრელი არ აკმაყოფილებს სტანდარტებს. ამ ეტაპზე ჩვენ უნდა დაგვამაყოფილოთ ელემენტარული სტანდარტები მაინც,“** - განაცხადა დასუფთავების სამსახურის წარმომადგენელმა ფრიდონ ბეშქენაძემ.

სწორედ აღნიშნულ საკითხებზე საუბარს ეხებოდა ნოემბრის დასაწყისში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გამართული შეხვედრა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების: „მწვანე ალტერნატივისა“ და „ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის“ ორგანიზებით მოეწყო. შეხვედრას სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, ქუთაისის დასუფთავების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ფრიდონ ბეშქენაძე და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დასავლეთ საქართველოს რეგიონალური

სამმართველოს უფროსი თამაზ კეპულაძე ესწრებოდნენ.

როგორც დასუფთავების საქალაქო სამსახურში აცხადებენ, რომ ბირველ რიგში შესასრულებელია ნაგავსაყრელის შემოღობვითი სამუშაოები. რომლის განსახორციელებლად უკვე შემუშავებულია სამი პროექტი.

**„ახალ გაზეთს“** მიეცა საშუალება გაცნობოდა ნახაზებს, სადაც დეტალურად არის აღწერილი ნაგავსაყრელის შემოღობვის სქემა. კერძოდ, ერთ-ერთი შემუშავებული ვერსიით, შემოღობვა მოხდება ბეტონის ფილებით, რომლის ღირებულება 203 325 ლარით არის განსაზღვრული, ან ნაგავსაყრელი ეკლანი მავთულ-ხლართებით შემოღობება, რომლის ბიუჯეტი 48 000 ლარს შეადგენს.

**„ფაქტია, რომ ეს მხოლოდ დროებითი ღონისძიებებია და მათი განხორციელება არსებულ პრობლემებს საბოლოოდ ვერ მოაგვარებს. ამიტომ მიმართულია ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გაააქტიუროს მუშაობა დონორების მოსაზიდად,“** - ამბობს „ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორი ზვიგია ვაშაყმაძე.

დასუფთავების საქალაქო სამსახურში ამბობენ, რომ დონორების მოძიებაში ქალაქის თვითმმართველობას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დაეხმარება. ხოლო „იმ შემთხვევაში თუ დონორები უახლოეს ხანში არ იქნა მოძებნილი ჩვენ ქალაქის ბიუჯეტიდან თავად ვუზრუნველყოფთ ამ სამუშაოების ჩატარებას,“ - განმარტა დასუფთავების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ფრიდონ ბეშქენაძე.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ სამუშაოების დაწყებისთვის პრობლემას ქმნის იტალიური ფირმა „რაფონს სერვისი“, რომ-

ლის მფლობელობაშიცაა აღნიშნული ობიექტი. როგორც ცნობილია, ერთი წლის წინ იტალიურმა ფირმამ ნაგავსაყრელის 100% წილი 3 მილიონ ევროდ შეისყიდა და აიღო ვალდებულება მოეწესრიგებინა ტერიტორია, ჩატარებინა შემოღობვითი სამუშაოები და მოეხდინა ნარჩენების კონსერვაცია. მაგრამ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მიმდინარე წლის სექტემბერში ქუთაისის თვითმმართველობამ იტალიურ ფირმასთან კონტრაქტის შეწყვეტა მოითხოვა. როგორც მერიაში ამბობენ, ამჟამად მიმდინარეობს სამართლებრივი პროცედურების მოგვარება, რომელშიც ორივე მხარის, „რაფონს სერვისისა“ და ქალაქის თვითმმართველობის იურისტები არიან ჩართულნი.

**„უკვე გაგზავნილია წერილი იტალიაში ხელშეკრულების გაწყვეტაზე. ამ ეტაპზე იურისტების დონეზე განიხილება ეს საკითხი. დაეკისრება თუ არა ჯარიმა იტალიურ ფირმას აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ გაირკვევა,“** - განმარტა ფრიდონ ბეშქენაძე.

იტალიური ფირმის შესახებ უკმაყოფილებას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დასავლეთ საქართველოს რეგიონალური სამმართველოშიც გამოთქვამენ. **„საიდან მოვიდა ეს იტალიური ფირმა არ ვიცით, არც ერთი ვალდებულება არ შეუსრულებია, იმის გამო რომ იურიდიული საკითხები ვერ კიდევ არ არის მოგვარებული ბევრ პრობლემას უქმნის ადგილობრივ ხელისუფლებას,“** - ამბობს სამმართველოს უფროსი თემურ კეპულაძე.


ლიცენზიის მოპოვების საკითხის გარდა, ეკოლოგები საუბრობენ ნარჩენების კონსერვაციის აუცილებლობაზე, რადგან ნაგავსაყრელზე ნარჩენების ღია წვა მიმდინარეობს და გამოყოფილი ნივთიერებები საფრთხეს შეიცავს. **„კონსერვაციის შემთხვევაში ნარჩენების წვა არ მოხდება,“** - განმარტა ავთანდილ კეპულაძე.

**„კონსერვაცია იქნება მეორე ეტაპი, მაგრამ ამას სჭირდება ინვესტირება. გასულ კვირას თურქი ინვესტორები იყვნენ ჩამოსული, რომლებმაც დაათვალიერეს ტერიტორია,“** - აღნიშნა ფრიდონ ბეშქენაძე.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის თვითმმართველობაში ნიკეაზე მდებარე ნაგავსაყრელის გადატანის საკითხიც განიხილება. ასეთ რეკომენდაციას თვითმმართველობას „მწვანე ალტერნატივაც“ აძლევს.

**„არსებული ვითარებიდან გამოსავალი, ჩვენი აზრით, შესაძლოა იყოს: არსებული ნაგავსაყრელის დახურვა და ახალი, რეგიონული ნაგავსაყრელის ორგანიზებაზე ზრუნვა; ან არსებული ნაგავსაყრელის გაუმჯობესება - რაც გულისხმობს როგორც სტრუქტურული ღონისძიებების გატარებას (შემოღობვა, დაცვის ორგანიზება, მდინარე რიონის მხრიდან გამოწვევის რიონის დამცავი დამბების მშენებლობა და სხვ.), ისე ნაგავსაყრელის მართვის გაუმჯობესებას. არჩევანი შესაძლებლობებს შორის შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ და მხოლოდ დეტალური შესწავლის (ეკოლოგიური აუდიტის) საფუძველზე,“** - ამბობს „მწვანე ალტერნატივის“ პოლიტიკის ანალიტიკოსი. მისი თქმით, კვლევა დაეხმარება ქუთაისის ხელისუფლებას, რომ ერთის მხრივ, შეასრულოს კანონის მოთხოვნები - მოიპოვოს ნაგავსაყრელის კანონიერი ფუნქციონირებისთვის. ასევე, კვლევა სასარგებლო იქნება ნაგავსაყრელთან დაკავშირებული რთული ვითარების დაძლევისთვის საერთაშორისო დაფინანსების მოსაზიდად.

კონკრეტულად რა გადაწყვეტილებას მიიღებს ადგილობრივი ხელისუფლება ქუთაისის ნაგავსაყრელთან მიმართებაში დაახლოებით ერთ თვეში უნდა გადაწყდეს. დეკემბრის შუა რიცხვებისთვის ქალაქში გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს ელოდებიან, რომლებიც ნაგავსაყრელზე არსებულ ვითარებას ადგილზე შეისწავლიან.



ნაგავსაყრელის შემოღობვისთვის მერიამ სამი პროექტი შეიმუშავა